საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომლისაც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი. 2019 წ. №190 (8856) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

უსირცხვილო მოლაყბენი

თვლემას მოვეშვათ, ხალხო, თორემ ნაგვლეკეს სეთურებმა!

5

იხ. 2 გვ.

საინვესტიციო პროექტები და ამერიკის მხარდაჭერა

თქვენ გყავთ საოცარი პრემიერ-მინისტრი, კონკრეტიკაზე ორიენტირებული რეალისტი.

ირაკლი ეფლბაუმი

ქუთაისის უნივერსიტეტი არამხოლოდ ქვეყანას, არამედ რეგიონს შეცვლის

2

წინ სტუდენტობა იჩქარის...

7

„კრწანისობა 2019“

გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას!

300 არაგველის სახელობის სკვერში „კრწანისობა 2019“ გაიმართა. ღონისძიებას დაესწრნენ თბილისის მერი, კრწანისის რაიონის გამგებელი, პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიო და სასულიერო პირები.

300 არაგველის მემორიალთან კრწანისის ბრძოლაში დაღუპულთა სავედრებელი პარაკლისი აღევლინა, შემდეგ კი ღონისძიების შემოქმედებითი ნაწილი გაიმართა. ფოლკლორულმა ანსამბლებმა, მსახიობებმა და მომღერლებმა მაყურებელს საბრძოლო ხელოვნების შოუ წარუდგინეს. ამასთან, დღეს კრწანისის ბრძოლაში დაღუპული წმინდანების ხსენების დღეა. 1795 წელს კრწანისის ომში დაღუპული 300 არაგველი, სასულიერო და საერო პირები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2008 წელს წმინდანად შერაცხა.

მეორე სიმაღლე...

გუშინ ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა ანტონ პლესნოიმ (96 კგ), რომელმაც ერთი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გაქართველებულმა უკრაინელმა ატაცში სამივე ცდა გამოიყენა, 172, 177 და 181 კგ დაძლია და ოქროს მედალს დაეუფლა. პლესნოი ჩინებულად გაისარჯა აკვრაშიც, სადაც სამივე ცდაზე უშეცდომო იყო (203, 209, 213) და აღნიშნულ დისციპლინაში მეოთხე ადგილი დაიკავა. შედეგად, ორჭიდის ჯამში მას 394 კგ დაუგროვდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. გარდა ამისა, 23-წლამდელთა შორის ევროპისა და საქართველოს რეკორდებიც დაამყარა.

პოტენციური საინვესტიციო პროექტები და აშშ-ის მხარდაჭერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ აშშ-ის წამყვანი საინვესტიციო ფონდების ხელმძღვანელებს უმასპინძლა, რომლებიც საქართველოში ინვესტირების შესაძლებლობებს ეცნობიან.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით ქვეყნის მოწინავე პოზიციებს და პოტენციურ საინვესტიციო პროექტებს.

აშშ-ის წამყვანი საინვესტიციო ფონდების პირველი პირებისგან შემდგარ დელეგაციას MizMaa Ventures-ის თანადამფუძნებელი და გენერალური პარტნიორი იიც ეფლბაუმი ხელმძღვანელობს, რომელმაც პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა, უახლოეს მომავალში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ხელშესახებ შედეგებს მიაღწიოს. ყურადღება გამახვილდა საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური ჰაბად გარდაქმნის პოტენციალზე, რის უზრუნველსაყოფად რეგიონული მნიშვნელობის არაერთი პროექტი ხორციელდება. შეხვედრისას განიხილეს ციფრული ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროში ახალი პროექტების განხორციელების პერსპექტივა, რომლებიც მიმართული იქნება ახალგაზრდებში სამეწარმეო უნარების განვითარებაზე.

„შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა პრემიერ-მინისტრთან. თქვენ გყავთ საოცარი პრემიერ-მინისტრი, კონკრეტიკაზე ორიენტირებული რეალისტი. როგორც წესი, ასეთ შეხვედრებზე ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით საუბრობენ გეგმებზე, აჟღერებენ იდეებს და ოცნებებს. თქვენმა პრემიერ-მინისტრმა უბრალოდ აკრიფა რამდენიმე ნომერი ტელეფონზე და ჩანიშნა შეხვედრები. ჩამოვედით 6-7 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ საქართველოსთვის. ჩვენ წარმოვადგენთ ინვესტიციისთვის განკუთვნილ მრავალმილიარდიან კაპიტალს და წარმატებულ მეწარმეებს. ჩვენი სურვილია ამ ენერგიის შემოტანა საქართველოში. დარწმუნებული ვართ, რომ ვითანამშრომლებთ თქვენს პრემიერ-მინისტრთან, ეკონომიკის მინისტრთან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციასთან საერთო წარმატების მისაღწევად“, — განაცხადა იიც ეფლბაუმმა.

ახალი საწარმოები ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოების დასაფინანსებლად 500 000 აშშ დოლარის გამოყოფისთვის მადლობა გადაუხადა.



როგორც მთავრობის მეთაურმა აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბეთ რუდთან შეხვედრისას განაცხადა, ეს აშშ-ის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე, ჰუმანიტარული და უსაფრთხოების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობასა და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმართულებით საოკუპაციო ძალების მიერ გადადგმულ დესტრუქციულ ნაბიჯებზე.

საუბარი ასევე შეეხო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ძირითად ასპექტებს, ისევე როგორც თანამშრომლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. შეხვედრისას ასევე განხილულ იქნა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები და მთავრობის ნაბიჯები, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და მმართველობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

მიხეილ ბატიაშვილი: ქართული მეცნიერება ევროპული სამეცნიერო ოჯახის წევრი ხდება

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში ქართული დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი გრძელდება. ინფორმაციას განათლების სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

საქართველოს განათლების სისტემაში ევროპული ხარისხის დანერგვისა და ევროკავშირთან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში, მიხეილ ბატიაშვილი ევროკომისარს კვლევების, მეცნიერებისა და ინოვაციების დარგში კარლოს მოედაშს შეხვდა, რომელსაც საქართველოში მიმდინარე განათლების კომპლექსური რეფორმის დეტალები გააცნო.

„ევროკავშირისგან დიდი მხარდაჭერა საქართველოს „ევრაქსესში“ გაწევრიანების დოკუმენტზე ხელის მოწერით კიდევ ერთხელ დადასტურდება. ეს ყველაფერი შესაძლებლობას მისცემს საქართველოში მოღვაწე ყველა მეცნიერსა და სამეცნიერო ინსტიტუციას ისარგებლონ იმავე შეღავათებით, რომლითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები სარგებლობენ. ეს არის მართლაც უნიკალური შესაძლებლობა — ხვალიდან უკვე ოფიციალურად ქართველი მეცნიერებისთვის თითქმის ყველა ევროპული სამეცნიერო ფონდი და რესურსი ხელმისაწვდომი გახდება. ფაქტობრივად, ქართული მეცნიერება ევროპული სამეცნიერო ოჯახის წევრი ხდება“, — განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

პრემიერი აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლობის დირექტორს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლობის დირექტორს იეშიმ ელჰან-კაიალარს შეხვდა. საფინანსო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუბარი შეეხო აზიის განვითარების ბანკის საქართველოსთან თანამშრომლობის ახალ, 2019-2023 წლების სტრატეგიას.

საქართველოსთან აზიის განვითარების ბანკი 2007 წლიდან თანამშრომლობს და დღემდე ქვეყნის განვითარებისთვის 2.8 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს გამოყოფილი.

აზიის განვითარების ბანკმა (ADB) საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია 23 აგვისტოს დაამტკიცა. ბანკის ცნობით, 2019-2023 წლების თანამშრომლობის ხუთწლიანი სტრატეგია მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის განვითარების სტრატეგიას, რომელიც ეფექტურობის გაზრდასა და სიღარიბის შემცირებას ისახავს მიზნად მეზობელ ქვეყნებთან და დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზით.



ქუთაისის უნივერსიტეტი არამხოლოდ ქვეყანას, არამედ რეგიონს შეცვლის

ძალიან მნიშვნელოვანია ერთი მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიციის ჩადება და განათლების, მეცნიერებისა და კვლევებისთვის ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება. ეს იქნება მნიშვნელოვანი პროექტი არამხოლოდ რეგიონისთვის, არამედ ყველა ჩვენგანისთვის, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ბევრი ერთობლივი პროექტი განვახორციელოთ, — ამის შესახებ ევროკომისარმა კვლევების, მეცნიერებისა და ინოვაციების დარგში კარლოს მოედაშმა განაცხადა.

საქართველოს განათლების სისტემაში ევროპული ხარისხის დანერგვისა და ევროკავშირთან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, ქართული დელეგაცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ხელმძღვანელობით, ბრიუსელში ოფიციალურ ვიზიტს მართავს. ვიზიტის ფარგლებში, მიხეილ ბატიაშვილი ევროკომისარს კვლევების, მეცნიერებისა და ინოვაციების დარგში კარლოს მოედაშს შეხვდა და მას საქართველოში მიმდინარე განათლების კომპლექსური რეფორმის დეტალების გააცნო. შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსებასა და მშენებლობას. ევროკომისარმა აღნიშნა, რომ პროექტი მართლაც შთამბეჭდავია და ის დიდ როლს შეასრულებს არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის განვითარებაში.

გიორგი ქობულია პოლიტიკაში ბრუნდება

„2020NEWS“-ის ინფორმაციით, თანამდებობიდან სკანდალურად წასული ყოფილი ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია პოლიტიკაში ბრუნდება.

გიორგი ქობულია „2020NEWS“-თან აღნიშნულ ინფორმაციას არ უარყოფს და აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან კონსულტაციებს აწარმოებს. მისი თქმით, პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ცნობილი ნოემბრის დასაწყისში გახდება.

ცნობისთვის, მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ დაახლოებით, ოთხი თვის წინ თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა. არაოფიციალური ინფორმაციით, კი პრემიერმა მამუკა ბახტაძემ გაათავისუფლა, რაც ყოფილ მინისტრს არ უარუყვია.



ქართული დელეგაციის მიზნები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე

„ძალიან მნიშვნელოვანია, გაეროს გენერალური ასამბლეა მაქსიმალურად გამოვიყენოთ იმისთვის, რომ საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები რაც შეიძლება მკაფიოდ დავაყენოთ საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში,“ — განაცხადა დავით ზალკალიანმა, გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში, ქართული დელეგაციის მიერ დაგეგმილ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, სესიის ფარგლებში დელეგაციას დატვირთული დღის წესრიგი აქვს. პირველი დიპლომატი, პარტნიორებთან 39 ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრას გამართავს. შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი საკითხი კი რუსული ოკუპაცია და უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე უკანონო ბორდერიზაცია იქნება.

საქართველოს პირველი დიპლომატი ამბობს, რომ ევროპელ პარტნიორებთან ერთად იმსჯელებს თუ რა ახალი მექანიზმების მოძიებაა შესაძლებელი, რუსული ოკუპაციის შესაჩერებლად. **„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უკვე არსებული ფორმატების და მექანიზმების გამოყენება მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია სხვა ფორმატებისა და მექანიზმების ძიებაც. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ რა რჩევას მოგვცემენ ევროპელი პარტნიორები. თუ რა ეფექტური მექანიზმები არსებობს იმისთვის, რომ ის უკანონო ბორდერიზაცია, გამწვავებული ოკუპაციის ფონზე იყოს, რაც შეიძლება აქტუალური საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენთვის მთავარია თანამეგობრობის კონსოლიდაცია და ამ მხრივ ძალისხმევას არ ვაკლებთ, თუმცა, პროცესები მაინც გრძელდება,“** — აცხადებს ზალკალიანი.

გაეროს გენერალური ასამბლეა ოფიციალურად დღეს გაიხსნება, თუმცა 74-ე სესიის ფარგლებში, სხვადასხვა შეხვედრები და სამიტები უკვე დაიწყო.

სალომე ზურაბიშვილს ტრამპთან შეხვედრა სურს...

გაეროში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრება. ამ დრომდე არსებული ოფიციალური დღის წესრიგით, დონალდ ტრამპისა და სალომე ზურაბიშვილის ორმხრივი, პირისპირ შეხვედრა დაგეგმილი არ არის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ამბობს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველმხრივ ვაგრძელებთ საქმიანობას იმისთვის, რომ მაღალი დონის შეხვედრები განხორციელდეს... პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის ვიზიტები. ბუნებრივია, ამ მიმართულებით, მუშაობა გრძელდება. მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი მსოფლიოს დღის წესრიგი და მათ შორის, ამერიკის დღის წესრიგი, ძალიან დატვირთულია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო აშშ-ის დღის წესრიგში საკმაოდ მოწინავე პოზიციებზეა. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის მაღალი დონის ვიზიტები, რომელიც განხორციელდა. მხედველობაში მაქვს პრემიერის ბოლო ორი ვიზიტი, ასევე, ეროვნული უშიშროების საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ჯონ ბოლოტნის ვიზიტი საქართველოში, ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ საქართველოს აშშ-ის დღის წესრიგში უაღრესად აქტუალურ პოზიციებზეა. თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე მეორედ, საქართველოს იწვევენ გენერალური ასამბლეის ფარგლებში ევროატლანტიკური საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე უკრაინასთან ერთად, მიანიშნებს, რომ ჩვენ ვართ აშშ-ის დღის წესრიგის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის,“ — განაცხადა ზალკალიანმა.

სალომე ზურაბიშვილმა მიმდინარე წლის იანვარში განაცხადა, რომ მას ტრამპთან შეხვედრა სურს. ადმინისტრაციის თქმით, ამაზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო. სალომე ზურაბიშვილს სურდა, დონალდ ტრამპს იქამდე შეხვედროდა, ვიდრე ტრამპი ვლადიმერ პუტინს შეხვდებოდა. დონალდ ტრამპი და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს ივლისში შეხვდნენ.

საბა გუჯაბიძე,
ქართლოს შარაშენიძე.

პრეზიდენტი გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაზე

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ნიუ-იორკში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საული ნიინისტოს შეხვდა. ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მხარეებმა საქართველო-ფინეთის ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის მიმდინარეობა და ამ გზაზე ფინეთის როლი. შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს და ოკუპაციის პრობლემას. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ჩნდება საჭიროება, ჩვენმა პარტნიორებმა კვლავ დააყენონ საქართველოს საკითხი რუსეთთან ფორმალური და არაფორმალური დისკუსიებისას ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში და შეახსენონ მას აღებული ვალდებულებები. საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში, სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად, გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ნიუ-იორკში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ბარბადოსის პრემიერ-მინისტრს, მია ამორ მოტლის შეხვდა.

ბარბადოსის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტთან საინტერესო შეხვედრაზე განიხილეს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხები.

„საქართველოც და ბარბადოსიც პატარა ქვეყნები არიან და ორივე ქვეყნის ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის საკითხები და მულტილატერალიზმის თემატიკა. პატარა სახელმწიფოები იმ შემთხვევაში გადარჩებიან, თუ მათ პრინციპული დამოკიდებულება ექნებათ კანონის უზენაესობასთან მიმართ“, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ მია ამორ მოტლიმ.

ქსავიერ კადორე: სიტუაცია საქართველოში არ არის მარტივი!

გუშინ, თბილისის საკრებულომ, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების 20 წლის, ევროპის საბჭოს 70 წლისა და ევროპის საბჭოს კონგრესის 25 წლის იუბილეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) პრეზიდენტის, დედაქალაქის მერის კახა კალაძის ინიციატივით გაიმართა.

კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა ქსავიერ კადორემ მიმართა. მან ქართულ მხარეს საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების 20 წლის იუბილე მიულოცა და ქვეყანას ევროპის საბჭოსგან დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით რეფორმების განხორციელებაში აქტიურ მხარდაჭერას დაპირდა. ქსავიერ კადორემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ევროსაბჭო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულია. **„სიტუაცია ქვეყანაში არ არის მარტივი, რადგან ის იბრძვის თავისი ტერიტორიული მთლიანობისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს საკითხი ევროსაბჭოსთვის პრიორიტეტულია. ამ საკითხში ჩვენ ვეყრდნობით საერთაშორისო სამართალს. ევროპის საბჭო დემოკრატიის გაძლიერების მიმართულებით აქტიურად დაუჭერს მხარს საქართველოს“,** — აღნიშნა ქსავიერ კადორემ.

თბილისი საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობს

ღონისძიება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და გეოგრაფიული აღნიშვნების გლობალური ალიანსის OriGin ორგანიზებით იმართება. ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაციას, ამ კუთხით ქართველ მეწარმეთა ცნობიერების ამაღლებას, უცხოელ პარტნიორებთან კომუნიკაციის დამყარებას და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გაცნობას.

კონფერენცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი“ თავმჯდომარემ გენადი ლებანიძემ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა გახსნეს. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა.

„საქართველო, აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. ახალი კანონმდებლობით და თანამედროვე მიდგომებით, რომლებიც გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვას უკავშირდება, ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ტრადიციების შენარჩუნება. ამასთან, მნიშვნელოვანია, შევქმნათ კონტროლის ქმედითი მექანიზმებიც, რომლებიც მოგვცემს საშუალებას, აღნიშნული პროდუქტების სანდოობა გაიზარდოს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროდუქციის მარკეტინგული დამატებითი ღირებულება, მხოლოდ დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების სწორად მართვით და შენარჩუნებით შეგვიძლია“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ბიზნესი და ხელისუფლება

„ფინანსთა მინისტრს თავისუფლების ნაწილში ვეთანხმები... თუმცა, თავისუფლება არ უდრის მიმზიდველობას. მიმზიდველობის ნაწილში გვიჭირს, რადგან გადაწყვეტილებებს ვერ ვიღებთ“... ასე აფასებს ბიზნესი ფინანსთა მინისტრის ივანე მაჭავარიანის განცხადებას.

მოგეხსენებათ, მაჭავარიანის თქმით ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო ბოლო 25 წლის განმავლობაში, არ ყოფილა. კერძო სექტორი ამ ნაწილში მინისტრს ეთანხმება, მაგრამ პარალელურად არსებულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. ზუსტად ამ პრობლემების გამო საბოლოოდ საქართველოში დღეს ბიზნესგარემო არაჯანსაღია.

BEKO-საქართველოს ხელმძღვანელი მეჰმედ მელექი:

„გააჩნია, რა მხრივ შევაფასებთ ფინანსთა მინისტრის განცხადებას. მაგალითად, ადრე იყო შემოწმებები და დიდი ჯარიმები, ახლა კი პირველი გრძელდება და მეორე (ჯარიმები) ისეთი დიდი აღარაა. ამ მიმართულებაში ცვლილებები დადებითია, მაგრამ ზედმეტი თავისუფლება არაა კარგი. ასეთ დროს კონკურნეცია ზედმეტად დიდია. რატომ? – ვიცაც 20-30 ათასი აშშ დოლარი აქვს, ნებისმიერს შეუძლია სხვადასხვა ქვეყნიდან პროდუქციის შემოტანა. ხშირად კი მათ არც შესაბამისი მომსახურება აქვთ და არც სერვისი. ასეთი კომპანიები უფრო მეტად უნდა შემოწმდნენ და შეიზღუდონ, რადგან უხარისხოდ მიმდინარეობს რეალიზაცია. ესე იგი, ამ ნაწილში თავისუფლება არაა კარგი“.

„ტექნობუმის“ დამფუძნებელი ანზორ ქოქოლაძე:

„მეც ვეთანხმები მაჭავარიანს, რადგან თავისუფლების ნაწილში სწორი შეფასებაა. თუმცა, ბევრი პრობლემაა სხვადასხვა მიმართულებით და ამიტომ, მაჭავარიანის განცხადება არ ნიშნავს, რომ ეს სფერო ყვავის. დიახ, თავისუფლება გვაქვს, მაგრამ პრობლემების თანმიმდევრულად მოგვარება აუცილებელია“.

კომპანია „დიოს“ მმართველი პარტნიორი თამაზ დაუშვილი:

„ბიზნესი დღეს რეპრესიებს აღარ განიცდის, თუმცა, ბიზნესის კეთების მოტივაცია უფრო დაბალია. თავს შედარებით თავისუფლად ნამდვილად ვგრძნობთ, მაგრამ ზოგადად ბიზნესში გარკვეული პრობლემებია და ამაზე კონკრეტული ბიზნესმენები ღიად არ საუბრობენ.

ძალიან ქმედითი ზომებია მისაღები იმისთვის, რომ მთლიანობაში გაჯანსაღდეს ეკონომიკა. მთავრობამ მისი მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიცია შემოვიდეს ქვეყანაში, თან რაც შეიძლება მოკლე დროში. ეს დადებითად აისახება როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე ლარის სტაბილურობაზე და მის შემდგომ გამყარებაზე“.

გადამზიდავი კომპანია „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი:

„დღეს არავინ მორბის არც პაპკებით, არც თოფებით, არ მაყადაღებს, არ მაშინებს. მეშვიდე წელია, ასეა. მოდიან, მაგრამ ძალიან ზრდილობიანად, გეგმიურ შემოწმებაზე. ამ ნაწილში თავისუფლები ვართ, მაგრამ ბიუროკრატიულ ნაწილში, რომ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, ეს ამ ხელისუფლების მუდმივ დაავადებად იქცა. ამ ნაწილში არაფერი შეცვლილა. მიშას დროს თუ კულუარულად მოგელაპარაკებოდნენ, შეგისრულებდნენ მეორე დღესვე. დღეს ასე არ ხდება, ყველაფერი გამჭირვალეა, მთავრობასთან კულუარული ურთიერთობები აღარ არსებობს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან უჭირთ. გახარიას ამ ნაწილში ძალიან ბევრი სამუშაო აქვს“.

თავისუფლები ვართ, მაგრამ ბიუროკრატიულ ნაწილში, რომ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ, ეს ამ ხელისუფლების მუდმივ დაავადებად იქცა...

შეგახსენებთ,ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ყოფილა. ვანო მაჭავარიანი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ დღეს ყველაზე თავისუფალი გარემოა ბიზნესისთვის და ამას არ ამბობს იმის გამო, რომ ის მთავრობის წევრია.

სალომე ლემონჯავა

◎ ეს უნდა ვიცოდეთ!

7 ცვლილება ბავშვებისთვის

20 სექტემბერს პარლამენტმა „ბავშვთა უფლებათა კოდექსი“ მიიღო – დოკუმენტი, რომელიც ბავშვების უფლებებს დაიცავს ყველა მიმართულებით.

კოდექსი ბევრ ცვლილებას გულისხმობს, მისი თითქმის ყველა პუნქტი სრულად ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისს. იქამდე კი სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ კანონთან შესაბამისი რეგულაციები და სტანდარტები იმისთვის, რომ სრულყოფილად მოხდეს ბავშვთა კოდექსში გაწერილი ვალდებულებების აღსრულება.

გაეროს ბავშვთა ფონდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი თეონა კუჭავა „რადიო თავისუფლებასთან“ კანონში შესულ ცვლილებებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ თავად კოდექსია ყველაზე დიდი ცვლილება, რადგან ეს არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი ბავშვთა უფლებებისთვის, რომელსაც რიგ შემთხვევებში უფრო მაღალი სტანდარტი აქვს, ვიდრე შეიძლება დღეს არსებულ კანონში იყოს.

„მინდა, გამოვყო მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც კოდექსს შემოაქვს, ეს არის ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი კანონი, ან სხვა აქტი, რომელიც საქართველოში მიიღება, უნდა შეფასდეს იმ კუთხით, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ცვლილებამ ბავშვზე და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე“. – ამბობს თეონა კუჭავა

„რადიო თავისუფლება“ რამდენიმე პუნქტს გაგაცნობთ, რომელიც „ბავშვთა კოდექსში“ მათი უფლებების დაცვის გაუმჯობესებას ემსახურება.

რას ამბობს „ბავშვის უფლებათა კოდექსი“?

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას

2. ყველა პროფესიის ადამიანს, რომელსაც აქვს ბავშვებთან ურთიერთობა, უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი საკვალიფიკაციო კურსი, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა პროფესიონალს.

3. ადამიანი, რომელიც სექსუალური ან რაიმე სხვა სახის ძალადობის მსხვერპლი იყო ბავშვობაში, გასაჩივრებას შეძლებს სრულწლოვნების მიღწევის შემდეგაც, ანუ დანაშაულის ხანდაზმულობა აითვლება მას შემდეგ, რაც ბავშვი სრულწლოვნებას მიაღწევს.

4. ნებისმიერი ასაკის ბავშვები უფასო იურიდიული დახმარებით ისარგებლებენ. ბავშვს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და დაიცვას თავისი უფლება (აქამდე 14 წლამდე ბავშვების შემთხვევაში, სასამართლოსთვის უნდა მიემართა მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს)

5. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს (აქამდე თუკი მშობელი მოისურვებდა ბავშვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განთავსებას, არ იყო სასამართლოს გადაწყვეტილება საჭირო).

6. დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან ძალადობის მსხვერპლ ან სავარაუდო მსხვერპლ ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს კომპენსაცია, მათ შორის, ფინანსური ზარალის ანაზღაურება სწრაფი პროცედურებით, სახელმწიფოს მიერ, როდესაც ამგვარი ანაზღაურების სწრაფი მიღება შეუძლებელია დამნაშავის მხრიდან.

7. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა ბავშვზე გარემოს დაბინძურების მავნე ზეგავლენის შემცირების მიზნით.

რა საკითხები იყო საღავო და რა შეიცვალა?

„ბავშვთა კოდექსის“ განხილვას სხვადასხვა ეტაპზე უკავშირდა ბრალდებული, ბავშვის ოჯახიდან განცალკევება იყო სოციალური მუშაკის უფლებამოსილება, რაც სტანდარტს დაბლა სწევდა, ჩვენი პრინციპული პოზიცია კი იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს გარეშე არ უნდა მიიღებოდეს.

● ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პოლიტიკაში უნდა შემოეყვანათ რელიგიური პირები, ამ ადამიანებმა არ იციან ბავშვზე ზრუნვის თემა.

* * *

ეს არ არის მათი პროფესია, ანუ ბავშვზე ზრუნვის გადაწყვეტილებას ვანდობდით იმ ადამიანებს, რომელთა გადაწყვეტილება შესაძლოა, ყოფილიყო დამაზიანებელი და მეორე მხრივ, ამისგან დაცვის საშუალება თეორიულად არც იარსებებდა. საბედნიეროდ, ეს ვერსია ამოღებული იყო იმ დროს, რა დროსაც ეს ინიციატივა გაჩნდა.

● პრობლემური საკითხი იყო რეპროდუქციული განათლებაც, დღემდე ვიცით რომ ასეთი პროგრამები არ არსებობს ფორმალურ განათლებაში, მაგრამ თუკი ვინმე გადაწყვეტდა ამგვარი პროგრამის ამუშავებას, უნდა ყოფილიყო მშობლის თანხმობა, ანუ განათლების რაღაც ნაწილი იყო არჩევითი. იმ მშობლების შვილები, რომლებიც იაზრებენ ამ ინფორმაციის სიკეთეებს, მიიღებდნენ ამ ინფორმაციას და დანარჩენები ვერა, რაც დისკრიმინაციულია. სამწუხაროდ, სქესობრივი განათლების პროგრამის დანერგვა არ მოხდა ამ კოდექსით, თუმცა მშობლის მიერ ამის შეზღუდვის ეს პუნქტი ამოღებულია.

ახლა ჩვენი ამოცანაა, მშობლებს და ბავშვებს მივაწოდოთ ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რაც მოხდა, რათა გამოიყენონ ის სიკეთეები, რაც ბავშვთა კოდექსს ახლავს. საჭიროა იმ უწყებებისთვის თვალის მიდევნებაც, რომელთაც დაეკისრათ კოდექსის აღსრულების პასუხისმგებლობა“ – ამბობს ანა აბაშიძე.

ანი ბურდული

ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ 20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲛ

ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝ ᲛᲝᲚᲐᲧᲑᲔᲜᲘ

ᲗᲕᲚᲔᲛᲐᲡ ᲛᲝᲕᲔᲨᲕᲐᲗ, ᲮᲐᲚᲮᲝ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲬᲐᲒᲕᲚᲔᲙᲔᲡ ᲡᲔᲗᲣᲠᲔᲑᲛᲐ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, **მეტროს ერთ-ერთ სადგურში თავად ვნახე, როგორ წაბარბაცდა თრიაქითა თუ არყით მთვრალი ვიღაც ახვარი, რომელიც ბაქნიდან ლიანდაგებში ჩავარდა და ხელფეხდამტვრეულს ვეღარაფერი უშველიდა, მატარებელი ახალი გასული და ამის გამო ლიანდაგებში გამავალი მაღალი ძაბვა უკვე გამორთული რომ არ ყოფილიყო.**

მაშინ ბევრი ჩვენგანი კამათობდა იმაზე, ვის დაბრალდებოდა ეს სამწუხარო შემთხვევა, რომ იგი ლეტალური შედეგით დასრულებულიყო: მეტროს მემანქანეს, რომელიც შემადგენლობის დამუხრუჭებას ვერ მოახერხებდა და განსაცდელში ჩავარდნილს აუცილებლად გაიტანდა, თუ ენერგეტიკოსებს, რომელთა „მაღალი ძაბვა“ მატარებლის ბორბლებქვეშ ჩავარდნაზე ნაკლები საშინელება როდია

ეს შემთხვევა მხოლოდ მე არ მინახავს და ამიტომ ვეკითხები ყველას, ვინც ამ ცოდვის კითხვას ჩემთან ერთად წაესწრო: ხომ არ დადგა დრო, ბოლომდე, ამასთან სიღრმისეულად გავაანალიზოთ, რა უბედურება მოსდევს, „გამოხატვის თავისუფლების“ კანონის უკუღმართად წაკითხვას, რამაც ერთი და იგივე ძაღლთაპირების ხელწერით ჩვენს თვალწინ ჯოჯოხეთი მრავალჯერ დაატრიალა, მათ შორის პარლამენტსა და პარლამენტის მისადგომებთან ერთი სცენარით სამჯერ – 1992 წლის 6 იანვარს, 2003 წლის გიორგობა დღეს და აგერ, 95 თუ 96 დღის წინათ, პარლამენტში შეჭრისთვის იმავე ბუნტართა შთაგონებით მცდელობისას, რომლებსაც, როგორც თავად აცხადებენ, „ორი გვამი ესაჭიროებათ“ მათ მიერვე თვალახვეული ხალხის დასაგიპნოზებლად და ქვეყანაში ჯოჯოხეთის დასატრიალებლად!

თუ არ გახსოვთ, ვიდეოკადრები გადაახვიეთ და გაიხსენეთ, „რუსთავი-2-დან“ ამას რა თავხედობით გაჰკიოდა სეთურ-რუპორი, გენდირექტორად მოვლენილი ნამინისტრალ-ნაპროკურორარალი. სამწუხაროდ, როგორც ის, ისე სხვა ახვრები, ფაქტობრივად, დღემდე არა მარტო დაუსჯელები არიან, არამედ, როგორც 20 სექტემბერმა დაგვანახა, მათ მიერვე ღრმად დაგიპნოზებულ და ამ მიზნით გასაწვრთნელ მიმინოსავით თვალახვეულებს ბუკით და ნაღარით, ანუ ნაცბაცანათა ხსენშეუშრობელი „მთავარი არხით“ ხალხს სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი წითელი ხაზისაენ გამომწვევი სიტყვებით მიერეკებიან: „გამოდით, გამოდით, გამოდით გარეთ!“

დიახ, უნდა გამოვიდეთ, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ, მაგრამ არა იმისთვის, რომ სეთურებმა უფსკრულში გადაგვჩეხონ, არამედ იმიტომ, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მთელი სერიოზულობით მოვთხოვოთ გამოფხიზლება და სამუდამოდ მოეღოს ბოლო გამოხატვის თავისუფლების კანონის გაუკუღმართებულ წაკითხვას, რომლითაც სეთურები ცდილობენ, გაგვიხმონ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ცხოვრების ხე, თითოეული ჩვენგანი თავის სიცოცხლის ხედ რომ თვლის და ოცნებობს იმ დღეზე, რომელიც „ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად!“ სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ, მონუსხულებო და თვალახვეულებო! თვალს დღეიდან მაინც ნურავის აახვევინებთ, რომ დაგიპნოზებულები ლეთარგიული ძილისგან გამოფხიზლდეთ და ჯანსაღი თვალით აღიქვათ, დაკარგული სკამების დასაბრუნებელ ბრძოლებში გატანჯული ჩვენი ჭრილობებმოუშუშებელი ქვეყანა, რომელმაც არა მარტო თავისი ისედაც მომცრო ტერიტორიის 20 პროცენტი დაკარგა, არამედ როგორც დე იურედ, ისე დე ფაქტოდ ომის მდგომარეობაშია კბილებამდე შეიარაღებულ იმ ოკუპანტთან, რომელთანაც ხუთდღიანი ომის შემდეგ საზავო ხელშეკრულებაზე ხელი არა გვაქვს მოწერილი და თბილისიდან სულ რაღაც 50 კილომეტრშია, ხოლო ქვეყნის მთავარი არტერიიდან – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შეერთებელ ერთადერთი გზიდან – ნახევარ კილომეტრში. ჩვენს თავზე აღმართული დამოკლეს მახვილის პირობებში, როდესაც ქვეყანას დამპყრობელთა მავთულხლართები აქვს შემოვლებული, იმის ნაცვლად, რომ საგანგებო წესები გამოცხადდეს, შინააშლილობის სათავისოდ გამოყენების მსურველები დემაგოგიურად ცდილობენ, გადაგვავიწყონ, რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა დიდი მეცნიერისა და ჭეშმარიტი მამულიშვილის გურამ შარაძის შუა ქალაქში, მელიქიშვილის ქუჩაზე, ყველას თვალწინ შეუბრალებელი დახვრეტით, ანგელოზებივით უცოდველი საჯიშე ბიჭების – სანდრო გირგვლიანის, ამირან (ბუტა) რობაქიძის, ვაზაგაშვილების მკვლელებმა და აფრასიძეების მთელი ოჯახის დედაბუდიანად ამომწყვეტლებმა, რომლებიც დღეს უსაზიზღრეს „ტელეკორიდას“ მართავენ, ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით თვალწინ ხარების გასაღიზიანებელ სისხლისფერ ნაჭრებს გვიფრიალებენ, თან უსირცხვილოდ ლაყბობენ ჰუმანიზმზე, ანუ „კაცთმოყვარეობაზე“!

თვლემას მოვეშვათ, ხალხო, ნულარ შეგვეშლება ავისა და კარგის გარჩევა, თორემ წაგვლეკეს სეთურებმა! ამას მე მოგიწოდებთ, ის პიროვნება, რომელმაც ზუსტად 40 წლის წინათ თანაგუნდელების თანადგომით და საქტელერადიოს იმდროინდელი თავკაცის, ბატონი ნუგზარ ფოფხაძის აქტიური თანადგომით, ზოგჯერ კი თანაავტორობითაც მოვამზადე დღემდე ლეგენდად შემორჩენილი სატელევიზიო გადაცემები „კაკაბეთის ზარები“, „რისხვით შეკრული მუშტი“, „მიწა, რომელიც იწვის“, „ტალღა შემდგარი ყალყზე“ და კიდევ რამდენიმე სხვა, რაც მორალურ უფლებას მაძლევს, ვთხოვო, უთუოდ ნიჭიერი, განსწავლული უცროსი კოლეგებიდან იმათ, რომლებიც მამონის ხათრით ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რათა თავიანთ იმ მამამარჩენალ შეფს ასიამოვნონ, არც განათლების მინისტრად რომ არ ივარგა, არც იუსტიციის მინისტრად, არც მთავარი პროკურორის მოადგილედ და არც რიგით იურისტად, რაც სტრასბურგულმა ვერდიქტმაც დადასტურა და ტელევიზიას დედის გინებითა და ქვეყნის დაქცევის მუქარით შეაფარა თავი!

ფრთხილად, ასაკით ჩემი შვილისა და შვილიშვილების ტოლო კოლეგებო! მედია მხოლოდ სიკეთეს უნდა ემსახუროს და ნურავის მივცემთ უფლებას, ეს უმძლავრესი იარაღი მრავალტანჯული და შაგრენის ტყავივით დამცრობილი საქართველოს დასაღუპავად გამოიყენოს!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲜᲛ-ᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

„ᲐᲮᲚᲐ ᲕᲣᲧᲣᲠᲔ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ vs ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ. ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲗᲧᲓᲘ – ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ“, – წერს სოციალურ ქსელში მელია.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს გადაცემა „ღამის მთავარში“ უთხრა, რომ „ევროპულ საქართველოსა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დიდი განსხვავებაა. რომან გოცირიძის შეკითხვაზე რა განსხვავებაა?! გიგა ბოკერიამ უპასუხა, რომ „არ უყვარს „ევროპულ საქართველოს“ მოტყუება ამომრჩევლების, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით“.

ამავე გადაცემაში გიგა ბოკერიამ თქვა, რომ ივანიშვილის დასამარცხებლად საჭიროა, რომ „ევროპული საქართველოს“ გარშემო შეიქმნას კოალიცია და არა ნაციონალური მოძრაობის. მისი თქმით, უსუფაშვილი და ხაზარაძე უფრო მეტი ალბათობით ითანამშრომლებენ „ევროპულ საქართველოსთან“, ვიდრე ენმ-სთან.

„სააკაშვილის პირობებში, ამ ნაციონალური მოძრაობის გარშემო, მისი ცენტრის გარშემო შექმნა უფრო რთული იქნება. ივანიშვილის დასამარცხებლად ვიძახი, თავი რომ დავანებოთ შეხედულებებს. ეს არ არის არავის შეურაცხყოფა. ყველაფერს ამომრჩეველი წყვეტს“, - თქვა ბოკერიამ.

ᲛᲐᲘᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ

„ᲕᲔᲠᲪ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲨᲘ, ᲕᲔᲠᲪ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲯᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ. ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲕᲔᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐ�გᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲛ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ, ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲐ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲮᲐᲓᲘ, ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲓᲐ Მ�გᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ თემაზე ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲡᲞᲔᲙᲣᲚᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ“, – განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა.

როდემდე, როდემდე, როდემდე?!

ანტი-რუსული აქციები გრძელდება

ანტირუსული არასამთავრობო ამერიკული ორგანიზაციის „თავისუფალი რუსული ფონდის“ აქაურმა ხელმძღვანელმა, წარმოშობით რუსმა, მაგრამ მსოფლმხედველობით, სულით და ხორცით ანტირუსმა ეგორ კუროპტევმა ამას წინათ, ვრცელი ინტერვიუ გამოაცხო საქართველოში ჩამოსულ ექსპერტთან მაიკლ კარპენტერთან.

რესპონდენტი ჯო ბაიდენის, აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, მრჩევლობით იყო დაკავებული და ისე, როგორც ბაიდენი (სრულიად შესაძლებელია მისი რჩევითაც), აშკარა ანტიპუტინურ განწყობას აფიქსირებდა.

თანამედროვე ისტორიას შემორჩა ყოვლისშემძლე ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის მოსკოვში ვიზიტი (მაშინ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იყო) და მისი შეხვედრა რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინთან, რომლის მთავარი მიზანი იყო, პუტინი დაეყოლიებინა, რომ უარი ეთქვა პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზე.

ეს ის პერიოდია, როდესაც მედვედევის საპრეზიდენტო ვადა იწურებოდა. აშშ-ს სურდა მხარი დაეჭირა მედვედევის მეორე საპრეზიდენტო ვადისთვის, ვინაიდან ის მედვედევს ლიბერალურ პოლიტიკოსად თვლიდა, ხოლო დამოუკიდებელი აზროვნების მატარებელ პუტინს – მიუღებლად.

კარპენტერის თბილისში ვიზიტიდან დაიწყო ახალი ანტირუსული ტალღა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ის უმნიშვნელო „დათბობის“ ხანა, რასაც ადგილი ჰქონდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. ვიდრე კარპენტერის ნათქვამს შევეხები, დავსვამ მარტივ კითხვას – რა შუაშია „თავისუფალი რუსეთის ფონდი“ და საქართველო, ან რატომ უნდა არსებობდეს ანტირუსული არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისში?

რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში რომ გაიხსნას ანტიქართული NGO – „თავისუფალი საქართველოს ფონდი“, რა თვალით შევხედავთ მას? და რატომ გვგონია, რომ ანალოგიური რეაქცია, ანუ ნეგატიური დამოკიდებულება არ ექნება რუსეთს?

კითხვა ისეთია, ახსნაც რომ არ სჭირდება. საქართველოს ხელისუფლება აინუნშიაც არ აგდებს იმას, რომ მსგავსი ქმედება აუარესებს რუსეთთან ისედაც მძიმე ურთიერთობას. რაც შეეხება ოპოზიციას – მისთვის რაც უარესი იქნება, მით უკეთესი.

კარპენტერის რჩევა, რომელიც ბრძანებას უფრო ჰგავდა, მეზობელ რუსეთთან არავითარ ურთიერთობას არ ითვალისწინებს. არადა, როგორ უნდა წარმართოს საქართველოს ხელისუფლებამ საშინაო და საგარეო პოლიტიკა – მეზობელი ვეება რუსეთის იგნორირებით, როდესაც თვით აშშ, ათასობით კილომეტრით დაშორებული რუსეთისგან, ამას ვერ ახერხებს?

ეს კითხვა უპასუხოდ რჩება და ასეთად დარჩება დიდი ხნის განმავლობაში, ვინაიდან იმას, რასაც ამერიკა აკეთებს, მხოლოდ პოზიტიურად აღიქმება საქართველოში, ხოლო, რასაც რუსეთი – ნეგატიურად. ჩვენივე ხელისუფალთა წყალობით – ორ დაპირისპირებულ გიგანტს შორის ვართ მომწყვდეული და ნაცვლად თავის გადარჩენისა, გონიერებას მოვუხმოთ – საწინააღმდეგოს ვაკეთებთ.

კარპენტერის ვიზიტს მოჰყვა აშშ-ში დაგეგმილი და თბილისში განხორციელებული 20-21 ივნისის ბუნტი, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის გაბუნიას ავსიტყვაობა, მაკკეინის ინსტიტუტის კონფერენცია და ამერიკელ ექსპერტ კრამერსა და პარლამენტის ვიცე-სპიკერ ინაშვილს შორის დაპირისპირება. და ეს ყველაფერი დროის მცირე მონაკვეთში განხორციელებული ანტირუსული გამოხდომებია, რომელთა მთავარი მიზანი რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებაა.

შეძლეს „თავისუფალი რუსეთის ფონდმა“ და მასთან მჭიდროდ მოთანამშრომლე „ნაცებმა“, „ევროპულმა საქართველომ“, „პატრიოტულმა“ ძალებმა მიზნის მიღწევა?

ნაწილობრივ შეძლეს, რითაც უდავოდ გააუარესეს საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური ვითარება, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია საქართველოს ყველა მოქალაქეზე, განსაკუთრებით პენსიონერებზე, უმუშევრებზე, დევნილებზე...

დასკვნა – საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმას, ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკური სისტემის განადგურებას, სახელმწიფოს დაშლას, რასაც მხარს დასავლელი პარტნიორები უჭერენ – ცხადია, საკუთარი მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

დასტური ამისა არის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწის დენიელ ფრიდის მოსაზრებები, გაჟღერებული „რადიო თავისუფლებაში“. ფრიდი მონაწილეობდა თბილისში ჩატარებული „მაკკეინის ინსტიტუტის“ კონფერენციაში. ფრიდის გამონათქვამები ანტირუსული ხასიათისაა და არაფრით განსხვავდება კარპენტერის ან კრამერის განცხადებებისგან.

რა გაეწყობა, ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? რატომ ვაძლევთ მათ ასეთი მოსაზრებების საქართველოდან „გასროლის“ შესაძლებლობას? რატომ ვუგდებთ მათ ყურს და შემდეგ ზედმიწევნით, მონდომებით ვუსრულებთ ჩანაფიქრს, ანტირუსული რომ ჰქვია?

მივყვეთ ფრიდის ინტერვიუს: „არ მგონია, რომ რუსეთი ყოველთვის იქნება ისეთივე ცუდი მოთამაშე, როგორიც დღეს არის ... .თავისუფალმა მსოფლიომ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ამ აგრესიას, იმისთვის, რომ დავაჩქაროთ იმ დღის დადგომა, როცა უკეთესი რუსეთი აღმოცენდება“.

რატომ თვლის ფრიდი რუსეთს ცუდ მოთამაშედ? ან რატომ მიიჩნევს, რომ საქართველომ ხმალამოღებულმა, უკანასკნელ ქართველამდე უნდა იბრძოლოს „უკეთესი“ რუსეთისთვის?

იმიტომ ხომ არა, რომ რუსეთი ტოლს არ უდებს აშშ-ს და მიიჩნევს, რომ მისთვის მთავარი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება და სუვერენიტეტის დაცვაა?

გორბაჩოვისა და ელცინის მიმართ ვაშინგტონის დამოკიდებულება რომ უდავოდ დადებითი იყო, მტკიცება არ სჭირდება. მაშინ ამერიკელები ისე აფათურებდნენ ხელს რუსეთის საშინაო საქმეებში, როგორც ბატონ-პატრონები. ამერიკელთა წყალობით რუსეთი დაჩოქილ ქვეყნად იქცა, ყველაფერი სტრატეგიული დასავლელთა ხელში აღმოჩნდა და რომ არა შემორჩენილი საზრიანი, პატრიოტი რუსების გაბრძოლება – ხელისუფლებაში პუტინის მისვლა, ერთიანი რუსეთი არ იარსებებდა, ანუ ახდებოდა ამერიკელთა ოცნება, მათ შორის ფრიდის და ოლბრაიტის (ყოფილი სახელმწიფო მდივანი), რომელიც დაუფარავად ამბობდა – რუსეთში არსებული წიაღისეული და სხვა სიმდიდრეები, რუსეთის კი არა, ყველას საკუთრება უნდა იყოსო.

აშკარაა ორი გიგანტის დაპირისპირება, რაც შესაძლებელი გახდა პუტინის გაპრეზიდენტებით. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა უყვარდეს თავისი სამშობლოს ინტერესების დამცველი პუტინი ვაშინგტონს? აშშ-ს ეყვარება თუ არა რუსეთი, საქართველო რა შუაშია?

ფრიდის განცხადებით – რას ნიშნავს „უკეთესი რუსეთი“?

ამერიკელთა აზრით, უკეთესი რუსეთი ნავალნის რუსეთია, იმ ნავალნის, რომელსაც აშშ დოლარებით კვებავს – იქნებ ანტიპუტინური რევოლუცია მოაწყოსო. თუმცა უშედეგოდ.

ფრიდი იხსენებს 2008 წლის ბუქარესტის სამიტს, რომელზეც საქართველოს არ მისცეს ამ ორგანიზაციაში გაწევრების „სამოქმედო გეგმა“ და ეთანხმება ჟურნალისტს, რომ ნატოს მოქმედებამ უბიძგა პუტინს 2008 წლის ცხინვალის ომისკენ.

ჯერ ერთი, მაშინ რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი იყო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში სააკაშვილის „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით შეჭრის“ საპასუხიდ.

ფრიდი შეგნებით იმეორებს იმ აზრს, რომ აგრესია რუსეთმა განახორციელა და არა სააკაშვილის რეჟიმმა, რომელსაც სწორედ გარკვეულმა ამერიკულმა ჯგუფებმა ჰკრეს ხელი აგრესიისკენ. ფრიდი თვალთმაქცობს, ვინაიდან მან კარგად იცის ომის სცენარის თაობაზე, ვაშინგტონში რომ შემუშავდა, რომლის მიხედვით რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან მუდმივი ანტირუსული „ცხელი წერტილი“ უნდა აგიზგიზებულიყო და რომ არა რუსული სწრაფი პასუხი, ვინ იცის, ამ „წერტილს“ დღესაც ეგიზგიზა. რა შედეგი ექნებოდა მას საქართველოსთვის ცნობილია, ისეთი, რასაც უკრაინაში ვხედავთ.

„ამერიკა არ ცდილობს მოჰკიდოს ხელი საქართველოს და შეათრიოს ნატოში“ – გვატყუებს ფრიდი.

ფაქტი კი ასეთია – 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტი ბუში ყველაფრით ცდილობდა საქართველოსთვის „მაპის“ მინიჭებას, მაგრამ არ გამოუვიდა – ნატოს სხვა წევრების უარყოფითი პოზიციის გამო. მიუხედავად ამისა, მან მოახერხა მოკავშირეების დაყოლიება ასეთ ფორმულირებაზე: „საქართველო და უკრაინა შევლენ ნატოში“. „თუკი დემოკრატიული ქვეყნის ხალხს სურს ალიანსში ყოფნა, ჩვენ მათ უნდა ვუპასუხოთ“, – ამბობს ფრიდი.

2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, თითქოს ხალხიც „დაჟინებით“ მოითხოვს ნატოში შესვლას, მაგრამ არ გვიღებენ. რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ ბუქარესტის სამიტის შემდეგ იყო აგვისტოს ომი, რომელიც საქართველომ წამოიწყო, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ომი რომ არ ყოფილიყო, საქართველოს ნაკლები ბარიერები ექმნებოდა ნატოში გაწევრების გზაზე.

და კიდევ: რუსეთის ფაქტორი. პუტინმა განაცხადა, რომ კატეგორიული წინააღმდეგია უკრაინა-საქართველოს ნატოში გაწევრების. ითვალისწინებს თუ არა ვაშინგტონ-ბრიუსელი რუსეთის პოზიციას?

რაც არ უნდა იძახონ ბრიუსელში, არაო, ითვალისწინებს. ეს და სხვა ფაქტორები, მათ შორის საქართველოში დემოკრატიული მშენებლობის სიმწირე, ისაა, რაც ნატოში შესვლაში ხელს გვიშლის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფრიდის შემდეგი ნათქვამი: „ნატოს წევრობა კეთილგონივრული პოზიციაა, აგრეთვე სიმართლეა, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს გადაწყვეტილება არ შესრულდება“.

და შემდეგ ის გვიხსნის, როგორ მოვიქცეთ იმისთვის, რომ ნატოში შეგვიშვან. ჩამონათვალი გრძელია, მაგრამ მათში პირველობა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზეა გამახვილებული, რომელთა შესრულებას თაობების ცვლა სჭირდება.

ფრიდი ღმერთი არ არის და არც აშშ-ის პრეზიდენტია, მაგრამ გამოცდილი დიპლომატია და იცის აშშ-ის პოლიტიკური ცხოვრების წიაღში მიმდინარე დინებები. ასე რომ, ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხში მისი აზრი საყურადღებოა. იქნებ აქედან გამომდინარე დაგვეწყო სხვაგვარად ფიქრი და განსჯა ამ ორგანიზაციასთან, ჩვენს მეზობლებთან, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში, რომლის წინააღმდეგაც ამერიკამ ახალი ავანტიურისტული ტალღა ააგორა საქართველოს ტერიტორიისა და ანტიქართული ადგილობრივი „პოლიტიკოსების“, მათზე ჩამოკიდებული ვითომ პატრიოტი ახალგაზრდების გამოყენებით.

ხელისუფლება, სადაც ანტირუსული განწყობა არცთუ იშვიათია, თითქოს ეწინააღმდეგება პროვოკაციას, მაგრამ ერთსულოვანია რუსეთთან ისეთივე პოლიტიკის გატარების, როგორსაც ადგილი ჰქონდა კარპენტერიდან დაწყებული ყველა ღონისძიების მსვლელობის დროს.

ნაცვლად იმისა, რომ მან (ხელისუფლებამ) სწრაფი ნაბიჯები გადადგას მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად, ნელა ირჯება, ერთ ადგილს ტკეპნის და თავის მართლების რეჟიმშია.

როდემდე?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

„გაზპრომი“ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სოფლების გაზიფიცირებას აპირებს

როგორც რუსული მედია იუწყება, ამის შესახებ საუბარი სანკტ-პეტერბურგში „გაზპრომის“ მმართველ ალექსეი მილიერისა და საოკუპაციო რეჟიმის ლიდერ ანატოლი ბიბილოვის შეხვედრაზე შედგა. „საუბარი შეეხო სამხრეთ ოსეთში ბუნებრივი აირის ექსპორტს. განვიხილეთ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გაზიფიცირების პროექტის რეალიზაციის ვადები“, – ნათქვამია რუსული მედიის ინფორმაციაში.

2009 წელს რუსეთმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის მაგისტრალური გაზსადენი აამოქმედა. 2010 წლის აპრილში კი მოსკოვმა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა „გაზპრომთან“ „თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმეს“, რომელიც 2029 წლამდე „რეგიონში ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმას მოიცავს“.

წინ სტუდენტობა იჩქარის...

როგორც ვიუწყებოდით, გასულ კვირადღეს, 22 სექტემბერს, საქართველოს სატელეკომუნიკაციო დარგის ფლაგმანმა, ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა კომპიანია მაგთიკომმა საზეიმოდ აღნიშნა დაარსებიდან 22 წელი..

განვლილ ორ ათეულზე მეტი წლის მანძილზე მაგთიკომმა არაერთი საგულისხმო საქველმოქმედო პროექტი განახორციელა, რამაც დიდად შეუწყო ხელი სამამულო ხელოვნების, ზოგადად ჩვენი კულტურის განვითარებას.

მნიშვნელოვანია ასევე მაგთიკომის წვლილი საქართველოში საგანმანათლებლო სფეროს მომძლავრებაში: აგერ უკვე ათწლეულზე მეტია, რაც წარმატებით ხორციელდება პროექტი „მაგთის სტიპენტია“, რომელიც ხელს უწყობს ბევრ ახალგაზრდას ცოდნის მიღებაში. ამ სტიპენდიით მაგთიკომი ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღწეული საუკეთესო შედეგების მქონე ქალიშვილებსა და ვაჟებს ერთი წლით აჯილდოებს.

„მაგთიკომისთვის განსაკუთრებით საყვარელი პროექტია „მაგთი განათლებისთვის“, რომლის ფარგლებშიც უკვე ტრადიციად ქცეული „მაგთის სტიპენდია“ გადაეცემა პირველკურსელებს. წელს, 22 სექტემბერს, თავის 22-ე დაბადების დღეს, მაგთიკომმა თექვსმეტი პირველკურსელი დააჯილდოვა, რაც ახალგაზრდებისთვის ცოდნის შეძენის კიდევ უფრო მეტი სტიმულის მიმცემია, თავად კომპანიისთვის კი ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერის გამოხატულებაა“, — აცხადებენ მაგთიკომში.

მაშ ასე, წლეულს მაგთის სტიპენდიანტები გახდნენ:

1. **ანუკი გოცაძე** (აგრარული უნივერსიტეტი, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები);
2. **ნუცა ცირეკიძე** (სან-დიეგოს უნივერსიტეტი, ქიმია-ბიოქიმია);
3. **ნიკოლოზ ჭელიძე** (ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი);
4. **საბა ხევიაშვილი** (თავისუფალი უნივერსიტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი);
5. **ლიზი ლომთათიძე** (სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა);
6. **ანა მერკვილაძე** (სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა);
7. **ლევან ღაღანიძე** (თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიზნეს-ადმინისტრირება);
8. **გიორგი აბულაძე** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა);
9. **ვანო გამეზარდაშვილი** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა);
10. **გოჩა გულუა** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული და ელექტრო ინჟინერია);
11. **დავით დვალი** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები);
12. **ელენე სვიანაძე** (თავისუფალი უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობები);
13. **ნიკა ქურდაძე** (თავისუფალი უნივერსიტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი);
14 **ნუცა ღუდუშაური** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა);
15. **ელენე ცირამუა** (თავისუფალი უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებები და მათემატიკა);
16. **ანა ხურციძე** (ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი);

სტიპენდიის სერტიფიკატებისა და სამახსოვრო საჩუქრების საზეიმო ცერემონიის შემდეგ, ახალგაზრდებს გავესაუბრეთ:

* * *

ნუცა ცირეკიძე: ჩავაბარე სან-დიეგოს უნივერსიტეტის ბიოქიმიის ფაკულტეტზე. უნარებში ავიღე 79 ქულა და სწორედ ამით დავიმსახურე მაგთის სტიპენდია, რამაც ძალიან გამახარა. ამასთან, ვარ მაგთის აბონენტიც. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაგთიკომს ამ მხარდაჭერისთვის.

ანა ხურციძე: ძალიან მიხარია, რომ მაგთის სტიპენდიანტი ვარ. ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო პროექტია და, იმედი მაქვს, რომ მომავალშიც გაგრძელდება.

ელენე ცირამუა: გავხდი თავისუფალი უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლის სტუდენტი. უნარებში ავიღე 77 ქულა. რაც მობილური ტელეფონი მაქვს, იმდენი წელიწადია, მაგთის აბონენტი ვარ. მაგთიკომი დაარსებიდანვე ერთგულად ემსახურება საქართველოს. ძალიან მიხარია, რომ მოვხვდი მაგთის სტიპენდიანტთა შორის. იმედია, რომ იგი მომავალშიც გაახარებს სხვა სტუდენტებს.

ნიკა ქურდაძე: ვარ თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლის პირველკურსელი, თანაც მაგთის აბონენტი და ძალიან მიხარია, რომ მისი სტიპენდია დავიმსახურე.

* * *

ზემოთქმულს ისღა შეიძლება დავამატოთ, რომ, როგორც მაგთიკომის კომპანიაში აცხადებენ, საგანმანათლებლო პროექტებისა და სტუდენტების მხარდაჭერა მაგთიკომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება და უანგარო ხელშეწყობა აუცილებლად გაგრძელდება.

ოთარ ტურაბელიძე

მთავრობამ 50 მილიონი ლარი ისესხა

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების გუშინდელ აუქციონზე 50 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 76 845 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.700 პროცენტით, მაქსიმალური 8.470 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 8.235 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.000 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

საშინაო ვალი 400 მილიონი ლარით იზრდება

პროექტის მიხედვით, 2019 წლის ბოლომდე სახელმწიფო დაგეგმილი 500 მილიონი ლარის ნაცვლად, 900 მილიონი ლარის საშინაო ვალს აიღებს.

საშინაო ვალის ზრდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით ხდება. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ფინანსური ბაზრის განვითარების ღონისძიებებთან. კერძოდ, გასულ წელს განხორციელდა ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვება, რომლის დაფარვაც უნდა განხორციელდეს 2020 წლის იანვარში და შესაბამისად, მიმდინარე წლის ბოლომდე საჭიროა რესურსების მობილიზება. ასევე, მუნიციპალიტეტებში დაწყებული კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მობილიზება გახდა საჭირო.

ამასთან, პროექტში აღნიშნულია, რომ მობილიზებული რესურსის ნაწილი მიიმართება განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად, კერძოდ ასაკით პენსიონერი პრაქტიკოსი მასწავლებლების ჯილდოების გასაცემად, რომლებიც ტოვებენ განათლების სისტემას, ასევე რესურსები გათვალისწინებულია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდისთვის.

ბიუჯეტის პროექტზე ყველა კითხვას გაეცემა პასუხი

2019 წლის ბიუჯეტის პროექტში მაკროეკონომიკური ზრდის პარამეტრი უცვლელია და 4.5 პროცენტის დონეზე არის შენარჩუნებული, — ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, ასიგნინებების ნაწილში ზრდა არის 223 მილიონის ფარგლებში, 130 მილიონით იზრდება განათლების სამინისტროს ხარჯები, ასევე იზრდება იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება, შემცირება კი, ეკონომიკური სამინისტროს კუთხით არის დაგეგმილი. „ლარის კურსი გათვლილია 2.96. ჩვენ ლარის კურსს ბიუჯეტში ვდებთ იმისთვის, რომ ვიანგარიშოთ მხოლოდ საგარეო ვალი და სხვა არაფერი. შემაჯამებელი სხდომა იქნება 7 ოქტომბერს და ბიუჯეტის პროექტთან არსებულ ყველა შეკითხვას გაეცემა პასუხი“, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების თაობაზე პარლამენტს კანონპროექტი გუშინ წარედგინა. 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში დოლარის კურსი 2.9638 ლარის ნიშნულზეა ჩადებული.

განცხადებები ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს ელექტრო-საიზოლაციო აირი SF6-ის შესყიდვაზე:

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1	ელექტრო-საიზოლაციო აირი SF6	100 კგ

- საქონლის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარულ დღეში.
- წარმოსადგენია საქონლის ხარისხის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- წარმოსადგენია საქონლის საგარანტიო პირობები.
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ელექტრო-ტექნიკური მოწყობილობების/საქონლის მიწოდების არანაკლებ ორ წლიანი გამოცდილება , რაზეც წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული საქონლის შესახებ (ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები).
- შემოთავაზებული საქონლის დამამზადებელ კომპანიას უნდა გააჩნდეს ანალოგიური საქონლის დამზადების მინ. 5 წლიანი გამოცდილება.
- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 700 (შვიდასი) ლარი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 3% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა (ტენდერის # T-10 G-08/2019).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 (ორმოცდაათი) ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 6 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 7 ოქტომბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 7 ოქტომბრის 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-10 G-08/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში - ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს, არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს მიკროავტობუსის შესყიდვაზე:

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა
1	მიკროავტობუსი	1

- საქონლის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გაფორმების ხარჯის ჩათვლით.
- ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეში.
- პრეტენდენტის მატერიალაურ-ტექნიკური ბაზა: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში.
- წარმოსადგენია საქონლის საგარანტიო პირობები.
- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შემოთავაზებული საქონლის მიწოდებისა და ტექნიკური მომსახურების (საგრანტიო პერიოდში) არანაკლებ ორ წლიანი გამოცდილება, რაზეც წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწოდებული ანალოგიური საქონლის და გაწეული ანალოგიური ტექნიკური მომსახურების შესახებ.
- პრედენტენტი უნდა იყოს შემოთავაზებული მიკროავტობუსის მწარმოებელი ქარხნის ოფიციალური დილერი და უნდა წარმოადგინოს დილერობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
- სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 2000 (ორი ათასი) ლარი.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 3% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა # GE37TB7731436030100001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა (ტენდერის № T-09 G-07/2019).

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50 (ორმოცდაათი) ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2019 წლის 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2019 წლის 8 ოქტომბრის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2019 წლის 8 ოქტომბერს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-09 G-07/2019.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში _ ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს, არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენედერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: შესყიდვების სამსახურის უფროსი **გიორგი ჭიჭინაძე** ტელ: 577907707 ელ. ფოსტა: giorgi.chichinadze@energotrans.com.ge.

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის (50 კმ) რეაბილიტაციის პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფელ წიფაში მდებარე, მოქალაქე მადონა ბანცაძის (პ/ნ 01007004891) საკუთრებაში არსებული, 36.19.33.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საერთო ფართი 3000 კვ.მ) 260 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე მადონა ბანცაძესთან (პ/ნ 01007004891) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.19.33.095) ნაწილის 260 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 09 სექტემბრის №1-1/431 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე მადონა ბანცაძის (პ/ნ 01007004891) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (3 000 კვ. მეტრი) ნაწილზე - 260 კვ. მეტრზე (ს/კ 36.19.33.095) და მასზე განლაგებულ უძრავი ქონებასა და მრავალწლიანი ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მადონა ბანცაძის (პ/ნ 01007004891) საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 36.19.33.095)** ნაწილზე - 260 კვ. მეტრზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის (50 კმ) რეაბილიტაციის პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, სოფელ წიფაში მდებარე, მოქალაქე იური გოგნაძის (პ/ნ 57001010939) საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (3 500 კვ. მეტრი) ნაწილი - 675 კვ. მეტრი (ს/კ 36.19.33.195) და მასზე განლაგებული უძრავი ქონება და მრავალწლიანი ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე იური გოგნაძესთან (პ/ნ 57001010939) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 3500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.19.33.195) ნაწილის 675 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 09 სექტემბრის №1-1/431 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე იური გოგნაძის (პ/ნ 57001010939) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (3 500 კვ. მეტრი) ნაწილზე - 675 კვ. მეტრზე (ს/კ 36.19.33.195) და მასზე განლაგებულ უძრავი ქონებასა და მრავალწლიანი ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, იური გოგნაძის (პ/ნ 57001010939) საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 3500 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 36.19.33.195)** ნაწილზე - 675 კვ. მეტრზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია გია რუსიეშვილის (პ/ნ 33001027223) საკუთრებაში არსებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკში მდებარე №26.28.16.322 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საერთო ფართი 599 კვ.მ) – 145 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე გია რუსიეშვილთან (პ/ნ 33001027223) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების - 599 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 26.28.16.322)** ნაწილის 145 კვ.მ.-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 09 სექტემბრის №1-1/432 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე გია რუსიეშვილის (პ/ნ 33001027223) საკუთრებაში არსებულ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ურეკში მდებარე №26.28.16.322 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საერთო ფართი 599 კვ.მ) – 145 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, გია რუსიეშვილის (პ/ნ 33001027223) საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მთლიანი 599 კვ.მ მიწის ნაკვეთის **(ს/კ 26.28.16.322)** ნაწილზე - 145 კვ. მეტრზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ქართული პროდუქცია ბრიტანეთის ბაზარზე შევიდა

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ქართული სასმელი და საკვები პროდუქცია დიდ ბრიტანეთში ექსპორტზე გავიდა.

სააგენტოს ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დაახლოებით 600 000 ლარის ქართული პროდუქცია მოხვდა – ღვინო, თხილი და ნატურალური წვენები.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, აღნიშნული ბიზნესკავშირები მეწარმეებმა მიმდინარე წლის 17-დან 20 მარტის ჩათვლით, საკვები და სასმელი პროდუქციის წამყვან საერთაშორისო გამოფენაზე – „IFE 2019“ დაამყარეს, სადაც სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით 20 ქართულმა ექსპორტიორმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა პირველად წარუდგინეს ქართული ნაწარმი დიდი ბრიტანეთის ფართო საზოგადოებას.

„IFE 2019“ დიდი ბრიტანეთის ყველაზე დიდი გამოფენაა, რომელიც წელს სასმელი და საკვები პროდუქციის ინდუსტრიაში მომუშავე 1350-ზე მეტ საერთაშორისო კომპანიას მასპინძლობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პროდუქციის მრავალფეროვანი სპექტრი, ამასთანავე, აქცენტი ბიო და გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეშ მყოფ პროდუქტებზე გაკეთდა. სხვადასხვა ნიშურ პროდუქტებთან ერთად გამოფენაზე წარდგენილი იყო საფერავის ჩაი.

◎ წინ, საქართველოვ!



„ოქროს“, „ბრინჯაოს“

ტაილანდის ქალაქ ჰატაიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ყულაბაში პირველი მედლები რევაზ დავითაძემ ჩააჩხრიალა.

89 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე „ჯვაროსანმა“ ატაცში 166,169 და 172 კილოგრამებს გაართვა თავი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ამის შემდგომ 21 წლის ძალოსანმა აკვრაში მოსინჯა ძალები, სადაც 199 კილოგრამი დაძლია, ორჭიდის ჯამში კი 371 კილოგრამი დააგროვა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

აქვე გეტყვით, რომ რევაზ დავითაძეს აქამდე მსოფლიოსა და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატები აქვს მოგებული, გასულ წელს კი უფროსთა შორის კონტინენტის პირველობაზე გაიმარჯვა და საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად დასახელდა.

ძალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი 27 სექტემბერს დასრულდება.

კობა კობახიძე

◎ „ლა სკალაში“

მესი – მეექვსედ!

მილანში, „ლა სკალას“ ლეგენდარულ საოპერო თეატრში გაიმართა ფიფა-ს 2018-2019 წლების სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრიზს The Best ჰქვია.

მთავარ ნომინაციაში – „წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი“ გაიმარჯვა არგენტინელმა ლიონელ მესიმ. ის ფიფა-ს ვერსიით მეექვსედ გახდა წლის ნომერ პირველი ფეხბურთელი. მესიმ ხმების 46 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე გასულ ჰოლანდიელ ვირჯილ ვან დეიკს 38 პროცენტი ჰქონდა, ხოლო მესამე იყო პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ – 36 პროცენტი.

შეგახსენებთ, რომ საუკეთესო ფეხბურთელს ირჩევენ ფიფა-ს წევრი ქვეყნების ნაკრებთა კაპიტნები და მწვრთნელები, აგრეთვე ჟურნალისტები და გულშემატკივრები.

ტრადიციულ ნომინაციებში გამარჯვებულთა სრული სია ასე გამოიყურება:

საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი – ლიონელ მესი (არგენტინა).

საუკეთესო ქალი ფეხბურთელი – მეგან რაპინო (აშშ).

საუკეთესო მამაკაცი მწვრთნელი – იურგენ კლოპი (გერმანია).

საუკეთესო ქალი მწვრთნელი – ჯილ ელისი (აშშ).

საუკეთესო მამაკაცი მეკარე – ალისონი (ბრაზილია).

საუკეთესო ქალი მეკარე – სარი ვან ვეენენდაალი (ჰოლანდია).

წლის საუკეთესო გოლი – დანიელ ჟორი (უნგრეთი).

ფანების პრიზი – სილვია გრეკო.

ფეარ პლეის პრიზი – მარსელო ბიელსა.

სიმბოლური ნაკრები (მამაკაცები): ალისონი – მატეის დე ლიგტი, მარსელო, სერხიო რამოსი, ვირჯილ ვან დეიკი – ფრენკი დე იონგი, ედენ აზარი, ლუკა მოდრიჩი – კრიშტიანუ რონალდუ, კილიან მბაპე, ლიონელ მესი.

სიმბოლური ნაკრები (ქალები): სარი ვან ვეენენდაალი – ლუსი ბრონზი, ნილა ფიშერი, კელი ო'ჰარა, ვენდი რენარი – ჟული ერტცი, ამანდინ ჰენრი, როუზ ლაველი – მარტა, ალექს მორგანი, მეგან რაპინო.

გიორგი შოთაძე

◎ სკანდალი

საფრთხე რეალურია

რუსეთი, შესაძლოა, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებზე არ დაუშვან. მიზეზი მოსკოვის ანტიდოპინგური ლაბორატორიის მონაცემების გაყალბებაა, რომელიც რუსეთმა მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოს (WADA) ბოლო 18 თვის განმავლობაში გადაუგზავნა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ გზით რუსული მხარე დოპინგის სისტემატური გამოყენების დამალვას ცდილობდა.

გამოძიების შედეგებს WADA ტოკიოში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოაქვეყნებს და რუსეთის ანტიდოპინგური სააგენტოსთვის აკრედიტაციის შეჩერებაზეც იმსჯელებს.

ივლისში WADA-მ შეისწავლა მოსკოვის ანტიდოპინგური ლაბორატორიის მონაცემთა ბაზა და შეადგინა 298 სპორტსმენის სია, რომლებიც ანტიდოპინგური წესების დარღვევაში არიან ეჭვმიტანილები. სპორტსმენთა სახელები უცნობია.

ლაბორატორიის მონაცემთა WADA-ში გაგზავნა რუსეთის ანტიდოპინგური სააგენტოს სტატუსის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობა იყო. რუსეთის ანტიდოპინგურ სააგენტოს აკრედიტაცია 2018 წლის სექტემბერში აღუდგა.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე (რიო-დე-ჟანეირო) ანტიდოპინგური სკანდალის გამო რუსეთის ნაკრების მძლეოსანთა ნაკრები არ დაუშვეს, ხოლო 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (პიონჩხანი) რუსეთის ნაკრები საერთოდ მოიხსნა და რუსი სპორტსმენები ნეიტრალური დროშის ქვეშ გამოდიოდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ვერნერი არ ცხრება



ერთობ საინტერესო ქალი ყოფილი მოდელი სუზანა ვერნერი. ფეხბურთის ძველ ქომაგებს, შესაძლებელია, გახსოვთ, რომ ეს მდედრი ბრაზილიელ სუპერფორვარდ ლუის ნაზარიო რონალდოს გულისსწორი იყო და საყოველთაოდ ცნობილიც მასთან ტრფიალებით გახდა.

ამის შემდეგ სუზანამ სხვა თანამემამულის, ეროვნული ნაკრების ყოფილ გოლკიპერ ჟულიო სეზარის სარეცელში გადაინაცვლა და მრავალწლიანი რომანის შემდეგ მისი ოფიციალური ცოლიც გახდა. ამ თანაცხოვრების შემდეგ სუზანას ჟულიოსგან სამი შვილი ეყოლა.

დღეს ვერნერი წესით ყავლგასული, ერთ დროს მგრგვინავი ლამაზმანი უნდა იყოს, მაგრამ ახლა ცნობილი გახდა, რომ თავისი საინტერესო ცხოვრების შესახებ წიგნს წერს და იქ ამბები იქნება – ბრაზილიურ ბულვარულ მედიას სალაპარაკო, ალბათ, კარგა ხანი არ მოაკლდება. ასეთ ქალს უქმად რა გააჩერებს?!...

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

გაისად – ბოსტონში

როდ ლეივერის სახელობის თასის რიგით მეოთხე გათამაშება 2020 წლის 25-27 სექტემბერს აშშ-ის ქალაქ ბოსტონში TD Garden არენაზე გაიმართება, გვამცნობს ტურნირის პრეს-სამსახური.

სტადიონი, რომელიც 19 ათას მაყურებელს იტევს, ჰოკეის კლუბის „ბოსტონ ბრიუინზის“ და საკალათბურთო „ბოსტონ სელტიქსის“ საშინაო არენაა.

მანამდე ლეივერის თასი პრაღაში (2017), ჩიკაგოსა (2018) და ჟენევაში (2019) გათამაშდა. სამივე ტურნირი ევროპის ნაკრებმა მოიგო.

წლეულს ევროპის ნაკრებმა 13:11 დაამარცხა დანარჩენი მსოფლიოსი. ევროპელთა შემადგენლობა ასეთი იყო: **რაფაელ ნადალი (ესპანეთი), როჯერ ფედერერი (შვეიცარია), დომინიკ ტიმი (ავსტრია), ალექსანდრ ზვერევი (გერმანია), სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი) და ფაბიო ფონინი (იტალია). მწვრთნელ-კაპიტანი ბიორნ ბორგი (შვედეთი) იყო.**

დავძენთ, რომ ლეივერის თასი პირველად შეიტანეს ATP-ის კალენდარში.

ბეჟან დოლიძე

◎ შრომის უსაფრთხოება

2019 წლის 7 თვეში სამუშაოს შესრულებისას 22 ადამიანი დაიღუპა და 51 დაშავდა!

სამუშაო ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და მწვავე საკითხია, რასაც ნათლად წარმოაჩენს სამუშაოს შესრულებისას დაღუპულთა და დაშავებულთა მზარდი მაჩვენებელი.

2015 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შეიქმნა. აღნიშნული სამსახურის შექმნის შემდეგ სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. არსებული კანონმდებლობა ეფექტიან ზედამხედველობას და შრომითი უსაფრთხოების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა.

2019 წლის თებერვალში პარლამენტმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონი დაამტკიცა და შრომის უსაფრთხოების კანონში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად გამოსწორდა. 2019 წლის 1 სექტემბრიდან, შრომის უსაფრთხოების კანონის მოქმედება ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე. შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით დანიშნოს ან მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია, პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები, თუ მას გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, ვალდებულია, ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში კი მან უნდა შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური, არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. ასევე, 1 სექტემბრიდან ზედამხედველი ორგანო უფლებამოსილია, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეამოწმოს ინსპექციას დაქვემდებარებული ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

ძველი რედაქციით კანონის მოქმედება ვრცელდებოდა, მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე. ამასთან, დასაქმების ადგილზე საზედამხედველო ორგანოს დაშვება ხდებოდა სასამართლოს ნებართვის საფუძველზე.

სამუშაო ადგილზე დაღუპულთა და დაშავებულთა სტატისტიკა

ჯანდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის იანვარ-ივლისში სამუშაოს შესრულებისას 22 ადამიანი დაიღუპა და 51 ადამიანი დაშავდა. 2015-2018 წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და დაღუპულთა მაჩვენებელი მზარდია.

უბედური შემთხვევების რაოდენობა განსაკუთრებით ხშირია სამშენებლო სექტორში. 2019 წლის 7 თვის მონაცემებით, სამუშაო ადგილზე დაღუპვის შემთხვევების 50% სამშენებლო სექტორზე მოდის.

წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების დროს დროული და ეფექტიანი გამოძიების წარმოება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში გამოძიება დაიწყო საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების 224 ფაქტზე, აქედან, გამოძიება შეწყდა 67 შემთხვევაში. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია მხოლოდ 19 შემთხვევაში.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების საქმეთა უმრავლესობა სასამართლოში არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმებით სრულდება.

2018 წლის განმავლობაში საქალაქო და რაიონულმა სასამართლოებმა წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით 35 საქმე განიხილეს. რეალური სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 2 შემთხვევაში განისაზღვრა. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა კიდევ 7 საქმეზე.

FACTCHECK.GE

სანთელი

იოსებ ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი — „ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ხომასურიძე“ -ის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ინსტიტუტის ძველი თანამშრომლის

ჯუნა ბაღათურიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებას მის ოჯახს.

რეზო ამაშუკელი ოჯახით, მიხეილ ობოლაძე, ბაია ამაშუკელი, ნათია ობოლაძე, ნიკუშა, რეზი უგრეხელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ მინაგოს ძე უგრეხელიძე

მაღალჩინოსნების გათავისუფლების სანაცვლოდ გირაოს ითხოვენ

ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი და კიდევ ექვსი მაღალჩინოსანი შესაძლოა, გირაოთი გათავისუფლდნენ.

ბათუმის ყოფილი მერის გიორგი ერმაკოვის ადვოკატმა მორიგი შუამდგომლობა გუშინ დააყენა. რამინ პაპიძე ამბობს, რომ საქმეში დაზარალებული მხარე, ანუ ბათუმის მერია წინააღმდეგი არ არის, დაკავებულები გირაოთი გათავისუფლდნენ. ამასთან, ადვოკატი აცხადებს, რომ დაცვის მხარემ სასამართლოს მოქმედი მერის ლაშა კომახიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი უკვე გადასცა.

ბრალდებულებს შორის არიან ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე ბაგრატ მანველიძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე არჩილ ვანაძე.

ადვოკატები თითოეული ბრალდებულის გათავისუფლებას 100 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ ითხოვენ.

აჭარის მთავრობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის შვიდი მაღალჩინოსანი პროკურატურამ 30 მაისს „იაფი სახლის“ პროექტთან დაკავშირებით დააკავა. გამოძიება მათ 1 370 076 ლარის გაფლანგვას ედავება.

შსს-ში დასაქმება... 5 ათას დოლარად

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაუკავშირდა ერთ-ერთ მოქალაქეს, შეევიდა მასთან ნდობაში და დაარწმუნა, რომ სანაცნობო წრის მეშვეობით, 5 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დაეხმარებოდა მას შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებაში.

ბრალდებული დააკავეს მოთხოვნილი თანხის ნაწილის — 3 500 ლარის აღების ფაქტზე.

დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

მაღაროელთა სახელფასო დავალიანება დროულად უნდა დაიფაროს!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, სადაც მოუწოდებს „საქნახშირის“ ადმინისტრაციას, დროულად წარმართოს მოლაპარაკება შახტებში დასაქმებულებთან და უზრუნველყოს მათი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

ამასთან, მათივე თქმით, კომპანია „საქნახშირი“ ვალდებულია, დაიცვას საკუთარი თანამშრომლების შრომითი უფლებები და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, მათ შორის, სახელფასო ანაზღაურების დროულად გადახდის მიმართულებით.

„კომპანიამ ასევე უნდა უზრუნველყოს და დაიცვას ტყიბულის შახტებში დასაქმებულთა ინტერესები, მით უფრო, როდესაც საუბარია როგორც შახტებში ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, ასევე შრომითი პირობების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაზე.

ტყიბულის შახტებში არსებული მდგომარეობა გერმანულმა კომპანიამ DMT შეისწავლა. გერმანელი სპეციალისტების დასკვნის თანახმად, ტყიბულის შახტებში ტექნიკურ და შრომითი უსაფრთხოების კუთხით შეუსაბამობები გამოვლინდა, რომელთა აღმოფხვრის მიზნით „საქნახშირს“ თითქმის ერთი წელია, რაც მიეცა რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც კომპანიას შახტებში სრულფასოვანი ამოქმედების შესაძლებლობას მისცემს“, — აღნიშნულია ეკონომიკის სამინისტროს განცხადებაში.

კომპანია „საქნახშირმა“ გუშინ. განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანია ფინანსური პრობლემების წინაშე დადგა, რაც ცნობილი იყო ტყიბულის მინდელისა და ძიძიგურის შახტებში დასაქმებულებისთვისაც.

მეშახტეები დილიდან „საქნახშირისგან“ კუთვნილი ხელფასის დროულად დარიცხვას ითხოვენ. მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ინფორმაციით, 15-მდე მეშახტე მინდელის, ხოლო 10 ძიძიგურის სახელობის შახტში ჩავიდნენ და უარს ამბობენ ამოსვლაზე, სანამ მიმდინარე ხელფასების გაცემა და ნახშირმოპოვების პროცესის აღდგენის პერსპექტივებთან დაკავშირებით მეშახტეების სრული ინფორმირება არ მოხდება.

„რაინეარი“ რეკლამას გვიწევს

ავიაკომპანია „რაინეარი“, რომელიც ნოემბერში ქართულ ბაზარზე შემოდის, თბილისისა და ქუთაისის შესახებ სტატიებს აქვეყნებს. ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში საუბარია ქალაქების ღირსშესანიშნაობებზე, ასევე საუკეთესო კაფეებსა და რესტორნებზე.

„რა უნდა ნახო და სად წახვიდე თბილისში“, — ამ სტატიაში ევროპის უმსხვილესი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია მგზავრებს სამების საკათედრო ტაძრის, ქართლის დედის ქანდაკების, მთაწმინდის პარკისა და მშვიდობის ხიდის მონახულებას, ასევე რეზო გაბრიაძის თეატრის შენობაზე მდებარე საათის დათვალიერებას ურჩევს.



ქუთაისში სტუმრობისას ავიაკომპანიის ყურადღების ცენტრშია ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი, სათაფლიის ნაკრძალი, პრომეთეს მღვიმე, ასევე ქალაქის ცენტრალური ბაზარი.

„რაინეარი“ პირველ ეტაპზე თბილისიდან მილანსა და კიოლნში, ქუთაისიდან კი მარსელსა და ბოლონიაში იფრენს.

გზამკვლევი კორეულ ენაზე

ამის შესახებ ინფორმაციას კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოთარ ბერძენიშვილი ავრცელებს.



დიპლომატის განცხადებით, გზამკვლევის გამოცემა საქართველოს ტურისტული პოტენციალისადმი მზარდი ინტერესის შემდეგ მიანიშნებს.

შეგახსენებთ, რომ 2018-2019 წლებში კორეის რესპუბლიკიდან საქართველოში პირველად შესრულდა ჩარტერული ფრენები.

არაბული გამოცემები აჭარაზე სტატიებს ამზადებენ

ჟურნალისტებმა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ქუვეითიდან და საუდის არაბეთიდან რეგიონში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით იმოგზაურეს. ბათუმისა და ქედის ტურისტული პოტენციალის გაცნობის შემდეგ ისინი მტირალას ეროვნულ პარკს სტუმრობდნენ, სადაც ადგილობრივი სამზარეულო დააგემოვნეს და ტურისტული სერვისებით ისარგებლეს. არაბი ჟურნალისტები რეგიონს ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით წელს პირველად სტუმრობდნენ.

აჭარის შესახებ სტატიები, რეპორტაჟები და ბლოგები წელს ბრიტანეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, ისრაელში, გერმანისა და მეზობელ ქვეყნებში გამოქვეყნდა. რეგიონში მოგზაურობას ვრცელი სტატიები მიუძღვნა ისეთმა გავლენიანმა გამოცემებმა, როგორებიცაა Vogue, „კოსმოპოლიტანი“, „ფორბსი“, Emerging Europe და Travel.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით წელს რეგიონში 400-მდე უცხოელმა ჟურნალისტმა და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელმა იმოგზაურა. მათ მოწვევა რეგიონში წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ფრანკოს მავზოლეუმიდან გადაასვენებენ

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ დიქტატორ ფრანსისკო ფრანკოს ნეშტის მავზოლეუმიდან მადრიდის ელ-პადროს სასაფლაოზე გადატანის ნებართვა გასცა. ამის შესახებ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

გადასვენების პროცედურა 10 ივნისისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა ოჯახი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა და სარჩელი უზენაეს სასამართლოში შეიტანა. სასამართლომ საქმის განხილვის დასრულებამდე მთავრობის გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.

მავზოლეუმი, რომელიც 1940 წელს აშენდა, 1936-39 წლებში სამოქალაქო ომში დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. ომში მილიონზე მეტი ესპანელი დაიღუპა. ესპანეთის მთავრობაში მიაჩნიათ, რომ ეს დიქტატორის სადიდებელი ადგილი არ უნდა იყოს.

ფრანსისკო ფრანკომ 1936 წელს სამხედრო გადატრიალება მოაწყო და დაიწყო სამოქალაქო ომი რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ გერმანიის ნაცისტური და იტალიის ფაშისტური მთავრობების მხარდაჭერით. ომში გამარჯვების შემდეგ მან ქვეყანაში მემარჯვენე ტოტალიტარული რეჟიმი ჩამოაყალიბა. მეორე მსოფლიო ომში ესპანეთს ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული. ფრანკოს რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ფრანკოს გარდაცვალებამდე, 1975 წლამდე დევნიდნენ.

მეცამეტე საუკუნის ნახატი... სამზარეულოში



პარიზის მახლობლად მდებარე ქალაქ კომპიენში, მოხუცი ქალის სამზარეულოში რენესანსის ეპოქის ფლორენციელი მხატვრის ჩიმაბუეს დაკარგული შედევრი იპოვეს. BBC-ის ინფორმაციით ქალს ძვირადღირებული ნახატი უბრალო ხატი ეგონა და სამზარეულოში, გაზქურის თავზე ეკიდა.

ექსპერტები ვარაუდობენ, მე-13 საუკუნეში შექმნილი ნახატი აუქციონზე სულ მცირე 6 მილიონ ევროდ გაიყიდება. სპეციალისტებმა შეადარეს ნახატი მხატვრის სხვა ნამუშევრებს და დაადგინეს, რომ ნაპოვნი ნახატი ნამდვილად ჩიმაბუეს ეკუთვნის.

ფლორენციელი მხატვრის მიერ შესრულებული ამავე ციკლის ნახატები ლონდონის ეროვნულ გალერეაში და ნიუ-იორკის ფრიკის კოლექციაში ინახება.

ნაბახუსევი დაავადება ყოფილა

გერმანიის სასამართლომ ნაბახუსევი დაავადებად აღიარა.

საქმე ერთ-ერთი კომპანიის წინააღმდეგ იყო აღძრული, რომელიც ნაბახუსევის შემამსუბუქებელ სასმელებს ყიდდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაავადებად ითვლება ყველაფერი, რაც ადამიანის ნორმალურად ფუნქციონირებას ხელს უშლის.

კომპანიის სახელი უცნობია და სასამართლოს გადაწყვეტილება სახალხო დღესასწაულ ოქტომბერფესტის დაწყებიდან რამდენიმე დღეში გამოქვეყნდა.

თუ გერმანელებს დავუჯერებთ, ყოველი მეორე ქართველი დაავადებული ყოფილა, ხოლო რუსები „უკურნებელი სენით“ იტანჯებიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9709; ევრო - 3.2632;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6940;
100 რუბლი - 4.6462; თურქული ლირა - 0.5194;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7468;
1000 სომხური დრამი - 6.2414.

ამინდი 25 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge